1. „თბილისის პიცა“ კარგად ცნობილი მცირე საწარმოა თბილისში. საწარმოს აქვს სხვადასხვა სახის ფიქსირებული და ცვლადი დანახარჯები. ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს საწარმოს მუდმივი დანახარჯების მაგალითს?
 - A. შენობის არენდის გადასახადი
 - B. ოფიციალტების ხელფასები
 - C. კომუნალური გადასახადები
 - D. ინგრედიენტების შესყიდვები
2. „თბილისის პიცის“ მენეჯერმა დათვალა, რომ მან დღეში უნდა მოამზადოს საშუალოდ 60 პიცა და გაყიდოს თითოეული 12 ლარად, რათა დანახარჯების ამოღება შეძლოს. ყოველდღიური მუდმივი დანახარჯები დაახლოებით 120 ლარს შეადგენს. ჩამოთვლილთაგან რომელი არის „თბილისის პიცის“ ყოველდღიური საშუალო ცვლადი დანახარჯების ტოლი?
 - A. 10 ლარი
 - B. 4 ლარი
 - C. 8 ლარი
 - D. 2 ლარი
3. „თბილისის პიცას“ რამდენიმე დაინტერესებული მხარე ყავს. ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის შესრულება არის აუცილებელი იმისათვის, რომ „თბილისის პიცის“ დაინტერესებული მხარე იყოს?
 - A. საწყისი თანხის შეგროვებაში/მოზიდვაში უნდა გქონდეთ მონაწილეობა მიღებული
 - B. ამ ბიზნესის ადგილმდებარეობის მახლობლად უნდა ცხოვრობდეთ და მუშაობდეთ
 - C. უნდა იყოთ ამ ბიზნესის რაიმე წილის მფლობელი
 - D. ამ ბიზნესზე რაიმე სახით უნდა იყოთ დამოკიდებული
4. 2007 წლიდან 2009 წლამდე Apple iPod-ის გასაყიდი ფასები დაეცა საშუალოდ 50%-ით. ჩამოთვლილთაგან ამ მოვლენის ყველაზე მისაღები ახსნა არის:

- A. მომხმარებელთა შემოსავლების ზრდა
- B. მოგების გადასახადების განაკვეთის ზრდა
- C. კონკურენტული პროდუქციის ფასების შემცირება
- D. Apple -ს თანამშრომლების შრომის ნაყოფიერების შემცირება

5. კომპანია „ტრილაინმა“ თავის კონკურენტებთან „დაქტი“ და „გენოსელი“ შეჯიბრში მიაღწია უპირატესობას იმით, რომ თავის მომხმარებლებს უფასოდ აწვდის ახალ სერვისს. ჩამოთვლილთაგან ყველაზე ნაკლებად რომელი შეიძლება იყოს ის ფაქტორი, რომელიც პირდაპირ ახდენს გავლენას ამ ახალი პროდუქტის/სერვისის მიწოდებაზე?

- A. შემცირებული საბანო საპროცენტო განაკვეთები
- A. მომხმარებელთა გემოვნება და უპირატესობები
- B. კომპანიის თანამშრომელთა ხელფასები
- C. ინოვაციური მარკეტინგული მეთოდების დანერგვა

6. სოფომ უარი თქვა რესტორნის მენეჯერის წარმატებულ კარიერაზე, რათა დაეწყო ახალი სამსახური დიდ ტრანსნაციონალურ კომპანიაში გაყიდვების მენეჯერად. მისი ეს გადაწყვეტილება ყველაზე კარგად აიხსნება როგორც „არჩევანი ალტერნატივებს შორის“ იმის გამო, რომ:

- A. ახლა მას საქმე აქვს ექსპორტთან და იმპორტთან
- B. ახლა ის უფრო გამყიდველია, ვიდრე მენეჯერი
- C. ის იძულებული იყო არჩევანი გაეკეთებინა ამ ორ სამუშაოს შორის
- D. ის აღარ ყიდულობს ამ პროდუქტებს

7. კომპანია „ტრილაინის“ მოგებამ 2014 წელს წინა წელთან შედარებით 57 მილიონიდან დაიკლო 9 მილიონამდე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ 2 მილიონი ერთეული პროდუქტი გაყიდა (მაგრამ პროდუქტის გასაყიდი ფასი დაეცა 117 ლარამდე, და შესაბამისად მთლიანი შემოსავალი დაეცა 296 მილიონიდან 234 მილიონამდე). ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა სამართლიანი?

- A. კომპანიის მიერ გაყიდვებისას მიღებული ხარჯთან შედარებით ნამატი (markup) შემცირდა 48 მილიონით
- B. კომპანიის მოგება შემცირდა 84%-ით
- C. პროდუქტის საცალო ფასი შემცირდა 31 ლარით
- D. კომპანიის მიერ გაყიდვებისას მიღებული ხარჯთან შედარებით ნამატი (markup) გაიზარდა 62%-ით

8. დათოს გადასატანი აქვს რამდენიმე ყუთი თავის ორ მეგობართან. მას აქვს 7 ყუთი, რომელიც უნდა მიუტანოს გიას და 8 ყუთი, რომელიც უნდა მიუტანოს კოკას. ამავე დროს, კოკას აქვს 4 ყუთი გიასთვის, და დათომ ამ ყუთების მიტანაც თავის თავზე აიღო. დათოს მანქანაში ერთდროულად მხოლოდ 5 ყუთი ეტევა. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია მეგობრების სახლებს შორის მანძილები:

ვის და ვის შორის	დათო და გია	დათო და კოკა	კოკა და გია
მანძილი (კმ)	3	5	2

ჩამოთვლილთაგან რომელია დათოსთვის აუცილებელი გასავლელი უმცირესი მანძილი იმისათვის, რომ მან ყველა ყუთი გადაიტანოს და სახლში დაბრუნდეს?

- A. 18 კმ
 B. 26 კმ
 C. 30 კმ
 D. 32 კმ
9. თქვენ გაქვთ თავისუფალი დრო ორშაბათს და ოთხშაბათს საღამოს საათებში და გადაწყვიტეთ ეს დრო აქტიური დასვენებისათვის გამოიყენოთ. ქვემოთ მოყვანილია შესაძლებლობები, რომელსაც თქვენს მახლობლად მდებარე კოლეჯი გთავაზობთ. მეცადინეობების განრიგი თქვენთვის თვითონ უნდა შეადგინოთ შემოთავაზებულიდან (კვირაში მხოლოდ ერთი მეცადინეობა).

კლუბი	მეცადინეობის დრო	ადგილი	დონე	ფასი
სამეჯლისო ცეკვა	ორშაბათი შუადღე სამშაბათი საღამო ხუთშაბათი საღამო	34 ოთახი 34 ოთახი 34 ოთახი	საშუალო	100 ლარი
ბრიჯი	ორშაბათი საღამო ოხშაბათი საღამო	21 ოთახი 21 ოთახი	საწყისი	150 ლარი
ხელოვნება	სამშაბათი დილა პარასკევი საღამო	19 ოთახი 30 ოთახი	საშუალო	110 ლარი
ვებ-დიზაინი	ორშაბათი საღამო ხუთშაბათი შუადღე	34 ოთახი 34 ოთახი	საწყისი	120 ლარი

საწყისი დონის კლუბის არჩევა ყველას შეუძლია, მაგრამ საშუალო დონის კლუბის არჩევა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ანალოგიური კლუბის საწყისი დონე გავლილი აქვს. თქვენ ხელოვნების კლუბის საწყისი დონე გავლილი გაქვთ, მაგრამ სამეჯლისო ცეკვების საწყისი დონე არა. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე იაფი კლუბი, რომელიც თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ?

- A. სამეჯლისო ცეკვა
- B. ბრიჯი
- C. ხელოვნება
- D. ვებ-დიზაინი

10. როცა თქვენი მანქანის სპიდომეტრს შეხედეთ, მან აჩვენა გავლილი 24942 კილომეტრი (ეს რიცხვი არის ე.წ. პალინდრომი, ორივე მხრიდან ერთი რიცხია). რამდენიმე ხნის შემდეგ სპიდომეტრმა აჩვენა 26062 კილომეტრი (ისევ პალინდრომი). რამდენი ასეთი პალინდრომი იყო ნაჩვენები ამ ორ რიცხვს შორის?

- A. 1
- B. 2
- C. 10
- D. 100

ნაწილი II (სულ 15 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ორი ექსპერტის კამათი ინვესტიციების შესახებ და პასუხი გაეცით შემდგომში დასმულ კითხვებს. კითხვებზე სავარაუდო პასუხები მოცემულია და თქვენ უნდა აარჩიოთ მათ შორის, თქვენის აზრით, საუკეთესო. გთხოვთ აგრეთვე, რომ შეძლებისდაგვარად ახსნათ თქვენი არჩევანი.

მისტერ X:

”ფულის შოვნა არ არის ადვილი. ამიტომ, თუ ფული გაქვს, პირველ რიგში დარწმუნებული უნდა იყო, რომ ფულს არ დაკარგავ. ჩვენ ძალიან ბევრჯერ მოგვისმენია წარმატებული ინვესტიციების შესახებ, მაგრამ გვავიწყდება, რომ ნაკლებად გვსმენია წარუმატებელი ინვესტიციების შესახებ (რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტია წარმატებულებზე). რადგან ინვესტიციების დროს ფულის დაკარგვის რისკი ყოველთვის არსებობს, ინვესტირება შეიძლება შევადაროთ აზარტულ თამაშს. ერთადერთი საიმედო გეგმა ფულის შენარჩუნებისა, არის ფულის მოთავსება ბანკში შემნახველ ანაბარზე, სადაც თქვენ გარანტირებულად მიიღებთ საიმედო სარგებელს. ამ შემთხვევაში თქვენ, სულ მცირე, არ დაკარგავთ თქვენს ფულს და, მომავლისათვის უფრო დარწმუნებული იქნებით თქვენს ფინანსურ შესაძლებლობებში”

მისტერ Y:

”ინვესტირება, ცხადია, რისკს გულისხმობს. მაგრამ ამ რისკის გაზვიადება არ არის გამართლებული. არ არის გასაკვირი, რომ თუ გინდათ მიიღოთ უფრო მეტი სარგებელი, მაშინ უფრო მეტი რისკიც უნდა გაწიოთ. ეს, ცხადია, გაზრდის ფულის დაკარგვის რისკებს. უნდა ხაზი გავუსვათ, რომ არსებობს ნაკლებად რისკიანი ინვესტიციებიც. ასეთი ინვესტიციების განხორციელებისას თქვენ შესაძლოა მიიღოთ იმაზე მეტი სარგებელი, ვიდრე შემნახველი ანაბრის გამოყენებით, და ხშირად მიზერული რისკებით. თუ თქვენ გამოიყენებთ თქვენი ინვესტიციების დივერსიფიკაციას, ამით თქვენ შეგიძლიათ პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანოთ ფულის დაკარგვის რისკები. ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მართალია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქციების ფასებმა შესაძლოა დროებით განიცადოს შემცირება, მთლიანობაში, ხანგრძლივი ვადის პერსპექტივაში, აქციების ფასებს ახასიათებთ ზრდა. აქედან გამომდინარე, შემნახველი ანაბრები, მიუხედავად იმისა, რომ საიმედოდ გამოიყურება, არ არის თქვენი დანაზოგების განთავსებისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილება”

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ დაშვებებს აკეთებს მისტერ X თავისი მოსაზრების მხარდასაჭერად?

- A. ზოგიერთი ადამიანი ფულს შოულობს ინვესტიციების საშუალებით
 - B. მხოლოდ შემნახველი ანაზრის საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს დანაზოგის ღირებულებაზე
 - C. კომპანიები აქციებს უშვებენ მხოლოდ მაშინ, როცა ფულის მოპოვების სხვა გზა არ აქვთ
 - D. მხოლოდ რამდენიმე კომპანიის აქციების ფასებს ახასიათებთ მუდმივი ზრდა
 - E. ადამიანების უმრავლესობას ფულის შენახვა ურჩევნია მის დახარჯვას
- ახსენით თქვენი არჩევანი

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ დაშვებებს აკეთებს მისტერ Y თავისი მოსაზრების მხარდასაჭერად?

- A. დროის ხანგრძლივი პერიოდის შემთხვევაში, ნებისმიერი აქციის ფასი გაიზრდება
 - B. რაც უფრო მეტ აქციას შეიძენთ, უფრო მეტ სარგებელს მიიღებთ
 - C. რაც უფრო რისკიანია ინვესტიცია, მით უფრო მეტ სარგებელს მოგიტანთ ის ხანგრძლივ პერიოდში
 - D. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქციებს ახასიათებს მთლიანობაში ფასების ზრდა
 - E. ინფლაციას შეუძლია ნებისმიერი საპროცენტო განაკვეთის "შეჭმა"
- ახსენით თქვენი არჩევანი

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოვლენა, თუ ის მოხდა, გაანეიტრალებს მისტერ X-ს არგუმენტს?

- A. შემნახველი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა არ იყოს ისეთი მაღალი, როგორც ზოგიერთი კომპანიის აქციების ფასების პროცენტული ზრდა
- B. შემნახველი ანაზრის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ ბალანსის დაწესებული მინიმუმის დაცვის შემთხვევაში
- C. ზოგიერთი კომპანიის აქციების ფასები მუდმივად იზრდება
- D. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ხანდახან ხდება აქციათა ფასების ვარდნა
- E. შემნახველი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ინფლაციაზე დაბალი

ახსენით თქვენი არჩევანი

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოვლენა, თუ ის მოხდა, გაანეიტრალებს მისტერ Y-ს არგუმენტს?

- A. შემნახველი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ზოგიერთი კომპანიის აქციების ფასების პროცენტული ზრდა
- B. შემნახველი ანაზრის გახსნა ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე შეიძლება
- C. ზოგიერთი კომპანიის აქციების ფასები მკვეთრად მცირდება
- D. ბოლო ათწლეულში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გახშირდა აქციათა ფასების მასობრივი ვარდნები
- E. შემნახველი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ინფლაციაზე მაღალი

ახსენით თქვენი არჩევანი

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება გამოხატავს ორი ექსპერტის მთავარ უთანხმოებას?

- A. არის თუ არა შესაძლებელი ინვესტიციებით ფულის შოვნა
- B. შემნახველი ანაზრებით არის თუ არა შესაძლებელი ფულის შოვნა
- C. რისკის გაწევა ინვესტიციებისას სარგებლის მომტანია თუ არა
- D. რა მიზნები ამოძრავებთ კომპანიებს, როცა აქციებს უშვებენ
- E. ინვესტიციებს ყოველთვის ახლავს თუ არა რისკები

ახსენით თქვენი არჩევანი

ნაწილი III (სულ 15 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია და გაეცით პასუხები დასმულ შეკითხვებს. შეეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი პასუხები.

”რაჭველი დათვები” არის რაგბის გუნდი. ზოგიერთი გულშემატკივარის აზრით თამაშზე დასასწრები ბილეთები ძალიან ძვირია და ამიტომ ბოლო დროს მათ თამაშებზე იკლო მაყურებელთა რიცხვმა და ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავალი შემცირდა. გუნდს აქვს საკმაოდ მაღალი ფიქსირებული ხარჯები და ამიტომ აუცილებლად სჭირდება ფულის შემოდინების გაზრდა. გუნდის ხელმძღვანელობამ დაიწყო სპონსორების ძებნა და რამდენიმე ბიზნეს ჯგუფმა ამ მიმართულებით დაინტერესება გამოთქვა.

1. მოიყვანეთ ორი მაგალითი ფიქსირებული ხარჯებისა, რომელიც შესაძლოა რაგბის გუნდს ქონდეს.
2. მოიყვანეთ ორი მაგალითი ცვალებადი ხარჯებისა, რომელიც შესაძლოა რაგბის გუნდს ქონდეს.
3. დაასახელეთ და ახსენით ფულის შემოდინების გაზრდის ორი გზა, რომელიც შესაძლოა გუნდმა გამოიყენოს.
4. დაასახელეთ და ახსენით ორი მიზეზი, რის გამოც ბიზნეს ჯგუფები შესაძლოა დაინტერესებული იყონ რაგბის გუნდის სპონსორობით.
5. თუ გუნდი გადაწყვეტს შეამციროს ბილეთების ფასი, გაიზრდება თუ არა ბილეთების გაყიდვებიდან შემოსავალი?

ნაწილი IV (სულ 15 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია და გაეცით პასუხები დასმულ შეკითხვებს. შეეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი პასუხები.

ცხრილში მოცემულა “BBBBBBB” ბანკის გამარტივებული ბალანსი.

აქტივები	ვალდებულებები
სავალდებულო რეზერვები \$10000	მოთხოვნამდე დეპოზიტები \$100000
ჭარბი რეზერვი \$5000	
სესხი \$85000	

1. ახსენით სარეზერვო ნორმის არსი და გამოითვალეთ ეს ნორმა.
2. ვთქვათ, დავითმა “BBBBBBB” ბანკში მიმდინარე ანგარიშიდან მოხსნა \$5000. რამდენით შეიცვლება ბანკის რეზერვები დავითის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის შემდეგ? რა გავლენას იქონიებს ეს ტრანზაქცია ფულის მიწოდებაზე? რა იქნება “BBBBBBB” ბანკის ჭარბი რეზერვი ბალანსზე?
3. ვთქვათ, გიორგიმ მეორე დღეს გამოიტანა “BBBBBBB” ბანკიდან თანხა, რომელიც ბანკის ჭარბ რეზერვს აღემატება. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლიენტებს ბანკში სესხი არ დაუფარავთ, როგორ შეძლებს “BBBBBBB” ბანკი საჭირო რეზერვების გადაფარვას?

ნაწილი V (სულ 15 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ინფორმაცია და გაცეთ პასუხები დასმულ შეკითხვებს. შეეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი პასუხები.

გიორგი მუდამ ოცნებობდა ოლიმპიურ თამაშებზე. ის ძალიან იმედისმომცემი ახალგაზრდა სპორტსმენი იყო, მაგრამ ტრავმის გამო მას დიდი სპორტის დატოვება მოუხდა. გიორგის ძალიან უნდა, რომ მისი მომავალი საქმიანობა სპორტთან იყოს დაკავშირებული და მან გადაწყვიტა დაარსოს კლუბი “ოლიმპიური ოცნება”. კლუბი იქნება სოციალურად ორიენტირებული (ანუ, გიორგის მთავარი მიზანი არის არა ამ ბიზნესიდან მიღებული მოგება, არამედ ის, რომ ბავშვებს მიეცეთ თავისუფალი დროის უფრო კარგად გამოყენების საშუალება, და ბავშვების ჯანმრთელობის ხელშეწყობა). კლუბის წევრებს ექნებათ გადასახდელი წლიური საწევრო, რომელიც უფრო სიმბოლურ ხასიათისაა. გიორგიმ უკვე მიიღო სამთავრობო გრანტი, რომელიც ბიზნესის დაწყების ხარჯებს ნაწილობრივ დაფარავს.

იმედი,	წლიური საწევრო გადასახადი	20 ლარი	გიორგის ასევე აქვს რომ მისი ბიზნესი მომავალში მცირე მოგებას მაინც
	წლიური ხარჯები	4000 ლარი	

მოიტანს. ფინანსური შეფასებები ქვემოთ არის მოცემული:

1. მთავრობის გრანტი ფარავს საწყისი ხარჯების ნახევარს. გიორგის კიდევ ესაჭიროება 2000 ლარი ბიზნესის დაწყებისათვის. დაასახელეთ სულ მცირე სამი სხვადასხვა წყარო, საიდანაც გიორგიმ შესაძლოა მიიღოს ეს თანხა.
2. ახსენით, რას ნიშნავს მოგება, და გამოითვალეთ გიორგის ბიზნესის მოსალოდნელი მოგება, თუ ის ვარაუდობს, რომ პირველ წელს მის კლუბში იქნება 220 წევრი.
3. გიორგის უნდა ჩაატაროს მცირე მარკეტინგული კვლევა, რათა უფრო კარგად განსაზღვროს, თუ რა მომსახურება უნდა შესთავაზოს ბავშვებს კლუბში. ის განიხილავს ორ სხვადასხვა საშუალებას:
 - სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილებზე 200 ბავშვს შეავსებინოს კითხვარი
 - პირადად შეხვდეს 8 ახალგაზრდას და მათთან ერთად იმსჯელოს კლუბზე

როგორ ფორმას ურჩევდით გიორგის? ახსენით თქვენი რეკომენდაცია/ები.

ნაწილი VI (სულ 20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ბიზნესის შესახებ მოცემული ინფორმაცია და გაეცით პასუხები დასმულ შეკითხვებს. შეეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი პასუხები.

სალომე ახორციელებს ხორცი საბითუმო ვაჭრობას დასავლეთ საქართველოში. ეს ბიზნესი წამოწყებულ იქნა მამამისის მიერ. როდესაც მამა პენსიაზე გავიდა, მან ფირმის სამართლებრივი სტატუსი ინდ.მეწარმიდან შ.პ.ს-დ შეცვალა, რომლის აქციების 100%-ის მფლობელი იყო. ყოველ წელს, სალომე პირადი დანაზოგით ყიდულობს მამისის აქციების კიდევ 5% -ს. ფირმა მომგებიანია, საშუალო ყოველთვიური ფულის დადებითი ნაკადი 1200 ლარს შეადგენს (სალომეს ხელფასის გადახდის შემდეგ), ფირმას არ აქვს არანაირი დავალიანება, და ამჟამად ფირმის ბალანსზე 14000 ლარია. ფირმის პოლიტიკის მიხედვით, წელიწადში 12000 ლარის ოდენობის დივიდენდი გაიცემა.

სალომეს სურს ახალი საბითუმო ობიექტის გახსნა აღმოსავლეთ საქართველოში 2015 წლის იანვრისათვის. მისი ბიზნეს გეგმის მიხედვით, საჭირო გახდება შენობის დაქირავება და დანადგარების შექმნა.

- ახალი დანადგარის საყიდლად, ის ბანკიდან 5 წლიან სესხს გამოიტანს 60000 ლარის ოდენობით.
- სალომე ვარაუდობს, რომ 2015 წლის იანვარში 10000 ლარის ღირებულების გაყიდვებს, და ვარაუდობს, რომ 6 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად გაყიდვები 2%-ით გაიზრდება.
- გაყიდვები კრედიტის სახით (ნისიად) გაიცემა, და კლიენტები 30 დღის განმავლობაში დაფარავენ თანხას.

ფირმის ფულადი ნაკადის 6 თვის პროგნოზი ახალ ობიექტზე (იანვრიდან ივნისამდე)

კომპანიის მხრიდან ხორცის მომწოდებლებისაგან ყოველთვიური შესყიდვები	შესყიდვის ფასი პროგნოზირებული გაყიდვების 30%-ის ტოლია
<p>ყოველთვიური ხელფასები:</p> <ul style="list-style-type: none"> • უფროსი ყასაბის • ყასაბის • მძღოლის 	<p>1200 ლარი</p> <p>1000 ლარი</p> <p>800 ლარი</p>
<p>ყოველთვიური ადმინისტრაციული ხარჯები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტელეფონი • ქირა • სესხის დაფარვა (პროცენტი და ძირის ნაწილი) • დაზღვევა • სხვადასხვა ხარჯი 	<p>150 ლარი</p> <p>1200 ლარი</p> <p>1200 ლარი</p>

	200 ლარი 400 ლარი
ელექტონრეგის ხარჯი, რომელიც ყოველ ორ თვეში უნდა დაიფაროს (2015 წლის იანვრიდან დაწყებული)	400 ლარი

იმ დროისთვის, როდესაც სალომე მამას ახალი ობიექტის გახსნას თავაზობს, მამას აქციების 60% ეკუთვნის, ანუ კომპანიის მთავარი მფლობელია. სალომეს მამის აზრით, სალომე ზედმეტად ოპტიმისტურადაა განწყობილი გაყიდვების მიმართ.

იმისათვის, რომ პერსონალმა ეფექტურად და ეფექტიანად შესარულოს სამუშაო ახალ ობიექტზე, სალომე გეგმავს ფულადი ჯილდოების შემოღებას, რათა გაზარდოს პერსონალის ინტერესი.

1. ჩამოაყალიბეთ სალომეს მამის გადაწყვეტილების, (კომპანიის სამართლებრივი სტატუსის ინდემწარმიდან შ.პ.ს-დ შეცვლის) ორი დადებითი მხარე.
2. შეადგინეთ ფულადი სახსრების მოძრაობის 6 თვიანი პროგნოზი ახალი ობიექტისათვის.
3. რა გავლენას იქონიებს ახალი ობიექტის ამოქმედება ფირმის მიმდინარე ფინანსურ პოზიციაზე და ფულად ნაკადზე.
4. მოიფიქრეთ რა სახის ფულადი ჯილდო შეიძლება დაწესდეს, იმისათვის რომ პერსონალმა ეფექტურად და ეფექტიანად შესარულოს სამუშაო ახალ ობიექტზე.

პასუხების ფურცელი

ნაწილი I (2 ქულა თითოეულ შეკითხვაზე, სულ 20 ქულა)

კითხვა 1.

სწორი პასუხია A. შენობის არენდის გადასახადი არ არის დამოკიდებული საწარმოს აქტიურობაზე; თუნდაც საწარმომ საერთოდ არაფერი გამოუშვას არენდის გადასახადი მაინც უნდა გადაიხადოს.

კითხვა 2.

სწორი პასუხია A. რადგან 60 პიცა 12 ლარად იყიდება თითოეული, მთლიანი შემოსავალი შეადგენს 720 ლარს. ეს ნიშნავს, რომ სულ მთლიანი დანახარჯები არის 720 ლარი და აქედან ცვლადი დანახარჯები შეადგენს 600 ლარს. მაშინ საშუალო ცვლადი დანახარჯები შეადგენს $600/60=10$ ლარს.

კითხვა 3.

სწორი პასუხია D. გარკვეულწილად ყველა პასუხში მითითებული ადამიანები წარმოადგენენენ ხსენებული ბიზნესისთვის დაინტერესებულ მხარეებს. მაგრამ ყველაზე სრულად დაინტერესებული მხარე აღწერილია ბოლო პასუხში.

კითხვა 4.

სწორი პასუხია C. პროდუქტზე ფასების განსაზღვრისას ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია კონკურენტული პროდუქტის ფასების გათვალისწინება. თუ კონკურენტული პროდუქტის ფასები შემცირდა, მაშინ სავარაუდოა, რომ ამათ უნდა გამოიწვიოს ფირმის პროდუქტის ფასების შემცირება. პროდუქტის ფასების დაცემა სხვა მიზეზებმაც შესაძლოა გამოიწვიოს. მაგალითად, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესებამ, ან მასალის ფასების შემცირებამ და სხვ. აქ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ კონკურენტების ფასების შემცირებას შეუძლია შესაბამისი ეფექტის მოცემა.

კითხვა 5.

სწორი პასუხია B. მომხმარებელთა გემოვნება და მათი პრიორიტეტები არის პროდუქტზე/სერვისზე მოთხოვნის დეტერმინანტები, და არა მიწოდების. ყველა დანარჩენ პასუხში არის აღწერილი პროდუქტის/სერვისის მიწოდების განმსაზღვრელი ფაქტორები.

კითხვა 6.

სწორი პასუხია B. სოფოს არ შეეძლო ორივე სამუშაო შეესრულებინა ერთდროულად, ამიტომ მან დათმო ერთი მათგანი. რაც ნიშნავს, რომ მას მოუხდა არჩევანის გაკეთება.

კითხვა 7.

სწორი პასუხია B. ძველი მოგება იყო 57 მილიონი, და ახალი მოგება არის 9 მილიონი. მოგება შემცირდა 48 მილიონით. რადგან $48/57=0.8421$, ამიტომ მოგება შემცირდა დაახლოებით 84%-ით.

კითხვა 8.

სწორი პასუხია B. 18 კმ დათოს არ ეყოფა, რადგან სულ მცირე ორჯერ უწევს კოკასთან მისვლა, რაც სულ უკვე შეადგენს 20 კმ-ს. 26 კილომეტრი შესაძლებელია. ამისათვის დათო, მაგალითად შემდეგ ნაირად უნდა მოიქცეს: ჯერ მიდის კოკასთან და მიაქვს 3 ყუთი კოკასთვის და 2 ყუთი გიასთვის. კოკასგან მას მიაქვს გიასთვის კიდევ 3 ყუთი, და ბრუნდება სახლში. მან გაიარა 10 კმ და 8 ყუთი მიიტანა დანიშნულების ადგილას. შემდეგ მას მიაქვს კოკასთან 5 ყუთი და მისგან გიასთან მიაქვს დარჩენილი 1 ყუთი, და ბრუნდება სახლში. მან გაიარა კიდევ 10 კმ და უკვე 14 ყუთი მიიტანა

დანიშნულების ადგილას. საბოლოოდ მას მიაქვს გიასთან 5 ყუთი და ბრუნდება სახლში, რასაც 6 კმ სჭირდება. საბოლოოდ მან უნდა გაიაროს $10+10+6=26$ კმ.

კითხვა 9.

სწორი პასუხია D. თქვენ ვერ აირჩევთ სამეჯლისო ცეკვას, რადგან ეს საშუალო დონეა და თქვენ არ გაქვთ გავლილი საწყისი დონე. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ბრიჯი, რადგან ეს საწყისი დონეა და დროც თქვენთვის მისაღებია. ბრიჯის ფასია 150 ლარი. თქვენ ვერ აირჩევთ ხელოვნებას, რადგან დრო არ არის თქვენთვის მისაღები. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ვებ-დიზაინი, რადგან ეს საწყისი დონეა, და ორშაბათის საღამო თქვენთვის მისაღებია. ვებ-დიზაინის ფასია 120 ლარი, რაც ბრიჯის ფასზე ნაკლებია.

კითხვა 10.

სწორი პასუხია C. ყველა პალინდრომის ბოლო ციფრი არის 2, ხოლო ბოლოსწინა ციფრი 5. ასეთი რიცხვებია 25052, 25152, 25252,, 25952. სულ 10 რიცხვი.

ნაწილი II (სულ 15 ქულა)

კითხვა 1.

სწორი პასუხია B: მისტერ X მართლაც თვლის, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შემნახველ ანაბარზეა, განსაზღვრავს მის მომავალ ღირებულებას, ის არ განიხილავს არავითარ სხვა პარამეტრს. მისტერ X ამბობს, რომ ზოგიერთი ადამიანი შოულობს ფულს ინვესტიციებით A არჩევანი). მაგრამ, თუ ეს ასე არ იქნებოდა, მისტერ X-ის არგუმენტები კიდევ უფრო ძლიერი იქნებოდა. თავისი არგუმენტის მხარდასაჭერად მისტერ X-ს არ სჭირდება იმის დაშვება, რომ ადამიანების უმრავლესობას ფულის შენახვა ურჩევნია E არჩევანი). მისტერ X არსად არ ამბობს კომპანიების აქციების შესახებ არაფერს, ამიტომ არ იყენებს ამ დაშვებებს C და D არჩევანი).

კითხვა 2.

სწორი პასუხია D: მისტერ Y მართლაც თვლის, რომ დროის ხანგრძლივი პერიოდის შემთხვევაში აქციების ფასებს მთლიანობაში ახასიათებს ზრდის ტენდენცია. მისტერ Y არ ამტკიცებს, რომ ნებისმიერი აქციის ფასი გაიზრდება A არჩევანი). მისტერ Y არ ამტკიცებს, რომ თქვენი ინვესტიცია ყოველთვის უფრო მეტად მომგებიანი იქნება, როცა უფრო მეტ აქციებს შეიძენთ B არჩევანი), და არც იმას ამტკიცებს, რომ მაღალი რისკის მქონე ინვესტიცია უფრო მომგებიანი იქნება C არჩევანი), თუმცა ის ამბობს, რომ პირიქით, როგორც წესი, ასეა. მისტერ Y არსად არ ამბობს, რომ ინვესტიციების ეფექტიანობა ყოველთვის მეტია ინფლაციაზე, ან პირიქით, E არჩევანი).

კითხვა 3.

სწორი პასუხია E: მისტერ X თვლის, რომ შემნახველ ანაბარზე ფულის რაოდენობა სულ იზრდება, რაც სწორია. მაგრამ ის არ ითვალისწინებს, რომ მაღალი ინფლაციის პირობებში ფულის მსყიდველობითი უნარი შესაძლოა იმდენად დაეცეს, რომ რეალურად თქვენ "ფული დაკარგოთ". მისტერ X არსად არ ამბობს, რომ საპროცენტო განაკვეთი, რომელიც შემნახველ ანაბარზეა, უფრო მაღალია, ვიდრე აქციების ფაზების ზრდის ტემპი, მას არსად არ უხსენებია და გამოუყენებია აქციების ფასების ზრდა ან ვარდნა A, C, D არჩევანი). შემნახველ ანაბარზე მინიმალური მოთხოვნა ამ შემთხვევაში არაა რელევანტური B არჩევანი).

კითხვა 4.

სწორი პასუხია D: მისტერ Y არ თვლის, რომ შემნახველ ანაბრის გახსნის პირობები რამდენადმე მნიშვნელოვანია (პასუხი B). ის ასევე არ უარყოფს, რომ ზოგიერთი კომპანიის აქციების ფასების ზრდა

შესაძლოა შემნახველ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი იყოს (პასუხი A და C), და არც იმას უარყოფს, რომ შემნახველი ანაბარის საპროცენტო განაკვეთი ინფლაციაზე მაღალი არ შეიძლება იყოს (პასუხი E). რაც შეეხება D პასუხს, თუ ბოლო ათი წლის განმავლობაში ხშირად ხდებოდა აქციათა ფასების მკვეთრი მასობრივი ვარდნები, ეს შესაძლოა გახდეს მიზეზი იმისა, რომ აქციათა ბაზარმა დაკარგოს ნდობა საზოგადოებაში, რაც თავის მხრივ მისტერ Y-ის არგუმენტებს ნაკლებად დამაჯერებელს გახდის.

კითხვა 5.

სწორი პასუხია C: ორივე ექსპერტი არ უარყოფს, რომ ინვესტიციები შესაძლოა იყოს მომგებიანი A არჩევანი). მისტერ Y არ უარყოფს, რომ შემნახველი ანაბრით შესაძლებელია ფულის შოვნა B არჩევანი). კომპანიის აქციების გამოშვების მიზნებზე არცერთი ექსპერტი არ ამბობს არაფერს D არჩევანი). არცერთი ექსპერტი არ უარყოფს, რომ ინვესტიციებს ახლავს რისკები E არჩევანი), მაგრამ მხოლოდ მისტერ Y თვლის, რომ ეს რისკები სასარგებლოა.

ნაწილი III (სულ 15 ქულა)

კითხვა 1.

პასუხი. ფიქსირებული (მუდმივი) დანახარჯები არის ისეთი ხარჯები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბიზნესის აქტივობაზე. რაგბის გუნდისათვის ასეთი დანახარჯები შესაძლოა იყოს სათამაშო მოედნის და საწვრთნელი ბაზის არენდის გადასახადი, მწვრთნელების და მოთამაშეების კონტრაქტით გათვალისწინებული ხელფასები, მოთამაშეთა დაზღვევის ხარჯები . . . ცვალებადი დაბნახარჯები

კითხვა 2.

პასუხი. ცვალებადი დანახარჯები არის ისეთი დანახარჯები, რომელიც დამოკიდებულია ბიზნესის აქტივობაზე. რაგბის გუნდისათვის ეს შესაძლოა იყოს: კომუნალური და სატრანსპორტო დანახარჯები, საქველმოქმედო ღონისძიებები, მწვრთნელების და მოთამაშეების პრემიები კარგი შედეგების შემთხვევაში

კითხვა 3.

პასუხი. ფულის შემოდინების გაზრდა სხვადასხვა მეთოდით შეიძლება: მაგალითად, გაიყიდოს სეზონური აბონემენტები (შესაძლოა ფასდაკლებით, მაგრამ თანხა უფრო ადრე შემოვა); სპონსორებთან დადებული სელშეკრულებები გაზრდიან ფულის შემოდინება; კრედიტორებთან მოლაპარაკებები შედეგად შესაძლოა მოხერხდეს კრედიტის დაფარვის ვადების გადაწევა, რაც შეამცირებს თანამედროვე გასავალს; შესაძლოა მოხერხდეს ზოგიერთი ფიქსირებული ხარჯების გადახედვა და ამით ისევ გასავალს შემცირება . . .

კითხვა 4.

პასუხი. სპონსორების დანტერესების მიზეზები სხვადასხვა შეიძლება იყოს. მაგალითად: საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისათვის გუნდის მთლიანად და გუნდის წევრების გამოყენება; საკუთარი ბრენდის ცნობადობის გაზრდა; საკუთარი სახელის დაკავშირება ცნობილ სახელთან (რაგბის გუნდთან); ბიზნეს ჯგუფის ხელმძღვანელობის უკეთეს ჭრილში წარმოჩენა; ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერა . . .

კითხვა 5.

პასუხი. თუ ბილეთების ფასი შემცირდება, ეს გაზრდის ბილეთებზე მოთხოვნის რაოდენობას, და უფრო მეტი ბილეთი გაიყიდება (თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მაყურებელთა მთავარი

პრეტენზიები ფასის მიმართ კი არა არის, არამედ გუნდის თამაშის მიმართ). გაზრდის თუ არა ეს შემოსავალს, ძნელი სათქმელია: ეს დამოკიდებულია ფასისადმი მოთხოვნის ელასტიურობაზე. მაგალითად: შესაძლოა ბილეთების ფასის 10%-ით შემცირებამ, შესაძლოა მაყურებელთა რაოდენობა გაზარდოს 20%-ით, მაშინ შემოსავალი გაიზრდება. მაგრამ შესაძლოა მაყურებელთა რაოდენობა გაიზარდოს სულ 5%-თ, მაშინ შემოსავალი შემცირდება.

ნაწილი IV (სულ 15 ქულა)

კითხვა 1.

პასუხი: ბანკი ვალდებულია რეზერვად შეინახოს გარკვეული ნაწილი დეპოზიტების. სავალდებულო რეზერვების პროცენტული წილი მთლიანი დეპოზიტებიდან წარმოადგენს სარეზერვო ნორმას. რადგან ამ შემთხვევაში ბანკმა სავალდებულო რეზერვად შეინახა 10000, რაც შეადგენს დეპოზიტების 10%-ს, სავალდებულო რეზერვის ნორმაა 10%.

კითხვა 2.

პასუხი: თუ დავითი გამოიტანს 5000-ს, მაშინ ბანკს დარჩება რეზერვების სახით 10000. ფულის მიწოდება შემცირდება, რადგან ბანკს შეეძლო გაესესხებინა ის 5000, რაც დავითმა ბანკიდან გამოიტანა. განხორციელებული ტრანზაქციის შედეგად დეპოზიტები შემცირდება 95000-მდე, და ამიტომ სავალდებულო რეზერვები იქნება 9500. ამდენად, ბანკს ექნება 500 ჭარბი რეზერვი.

კითხვა 3.

პასუხი: თუ გიორგი ბანკიდან გამოიტანს ბანკის ჭარბ რეზერვებზე მეტ თანხას (მაგალითად 10000), ბანკს რეზერვების სახით არ ექნება სავალდებულო რეზერვებისათვის საჭირო თანხა. ბანკმა უნდა შეავსოს ეს თანხა. ამისათვის მან შესაძლოა აიღოს სესხი ცენტრალური ბანკისგან ან სხვა კომერციული ბანკისაგან.

ნაწილი V (სულ 15 ქულა)

კითხვა 1.

პასუხი: 2000 ლარი გიორგიმ შესაძლოა მიიღოს სხვადასხვა გზით. მაგალითად: გამოიყენოს საკუთარი დანაზოგი; ისესხოს ფული თავისი მეგობრებისაგან ან ოჯახისაგან; მიიღოს სესხი ბანკისაგან; მიიღოს სალომბარდო სესხი

კითხვა 2.

პასუხი: კომპანიის მოგება არის მისი მთლიანი შემოსავლების (ამ შემთხვევაში მხოლოდ საწევრო) და მთლიანი ხარჯების სხვაობას. ასე რომ, მოსალოდნელი მოგება არის $220 \cdot 20 - 4000 = 400$ ლარი. ცხადია, რომ ეს მოგება უფრო ნაკლები იქნება, თუ გიორგი ბიზნესისათვის გამოიყენებს სესხს.

კითხვა 3.

პასუხი: ორივე ფორმას, რომელზეც გიორგი ფიქრობს აქვს პლიუსებიც და მინუსებიც.

- 200 ბავშვის გამოკითხვას აქვს ის პლიუსი, რომ უშუალოდ სამიზნე ჯგუფის/პოტენციური მომხმარებლები არისნ გამოკითხული. ამავე დროს აქვს მინუსებიც: არ არის გამორიცხული პასუხების გაცემისას გარკვეული მიკერძოება (მაგალითად, ფიზკულტურის მასწავლებლის გავლენა);
- 8 ბავშვთან შეხვედრას და დისკუსიას ის პლიუსი აქვს, რომ უფრო დეტალურად შეიძლება საინტერესო საკითხების განხილვა; ასეთი შეხვედრის ორგანიზება ადვილია. ამასთან, ამ ფორმას აქვს მინუსიც: 8 ბავშვი ძალიან ცოტაა და შესაძლოა მათი ზარები არ ემთხვეოდეს მთლიანად ბავშვების მოსაზრებებს.

გიორგისთვის ალბათ ყველაზე მართებულია ორივე ფორმის გამოყენება. თუ მაინც უნდა გაკეთდეს არჩევანი, ალბათ გამოკითხვა უფრო ობიექტური სურათის მომცემი იქნება.

ნაწილი VI (სულ 20 ქულა)

კითხვა 1.

პასუხი: დადებითი მხარეები ამ გადაწყვეტილებას რამდენიმე აქვს. მაგალითად: ა) შ.პ.ს. შემთხვევაში თითოეულ მესაკუთრეს აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობა და ხდება პასუხისმგებლობის გადანაწილება, მაშინ როდესაც ინდ.მეწარმე სრულად მართო არის პასუხისმგებელი; ბ) შ.პ.ს. შემთხვევაში კომპანიას აქვს ნაკლები რისკები განვითარებისათვის მისი ერთერთი მესაკუთრის გარდაცვალების ან სხვა პრობლემების დროს; გ) კომპანიის მესაკუთრის უფლებები უფრო ადვილად შეიძლება გადავიდეს მამიდან შვილზე წილის გამოსყიდვის ან გადაცემის გზით; დ) შ.პ.ს. შემთხვევაში უფრო ადვილია ახალი დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა ახალი მეწილის შემოყვანის გზით; ე) მოსალოდნელია, რომ საფინანსო ინსტიტუტები (ბანკები, საკრედიტო ორგანიზაციები) უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებული ითანამშრომლონ შ.პ.ს.-სთან, ვიდრე ინდ.მეწარმესთან

კითხვა 2.

პასუხი: (ცხრილის შედგენისას მთავარია აისახოს ყველა საჭირო ინფორმაცია)

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
გაყიდვებიდან შემოსავალი	-	10000	10200	10404	10612	10824
პროდუქციის შესყიდვა	3000	3060	3121	3184	3247	3312
ხელფასები	3000	3000	3000	3000	3000	3000
სხვადასხვა ხარჯები	3150	3150	3150	3150	3150	3150
ელექტრობა	400	-	400	-	400	-
მთლიანი გასავალი	69550	9210	9671	9334	9797	9462

კითხვა 3.

პასუხი: გრძელვადიან პერიოდში კომპანიის ფინანსური პოზიციები საკმაოდ მომხიბლავად გამოიყურება - კომპანიის ყოველთვიური ფინანსური ნაკადი ექვსთვიანი პერიოდის გათვალისწინებით საშუალოდ 1000 ლარს უდრის. მოკლევადიან პერიოდში ფინანსური მდგომარეობა ასე კარგად არ გამოიყურება - პირველ თვეში თანხების გადინება 9500 ლარის ტოლია, და მთლიანი ნაღდი ფულის რაოდენობა მცირდება და ხება 5000 ლარზე ნაკლები. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე პერიოდში გაკეთებული გათვლები არის პროგნოზი, და შესაძლოა რეალურად კომპანიამ უფრო მეტი დახარჯოს და უფრო ნაკლები შემოსავალი მიიღოს.სანამ ახალი საწარმო სრულად ამოქმედდება, კომპანიას შესაძლოა გაუჭირდეს ერთდროულად ვალების დაფარვა და ამავე დროს 12000 ლარის ოდენობის წლიური დივიდენდების გაცემა. თვითონ სალომესათვის ეს შესაძლოა ნაკლებად საფიქრალი იყოს (მას ნაკლები წილი აქვს და ამავე დროს ის ხელფასს იღებს). სალომეს მამისათვის სიტუაცია უფრო დასაფიქრებელია.

კითხვა 4.

პასუხი: შესაძლებელია რამდენიმე სიახლის განხორციელება. მაგალითად: ა) შესაძლოა თანამშრომლებს მიეცეთ საკომისიო გაყიდვების რაოდენობიდან გამომდინარე. ამ დროს ისინი მეტად არიან დაინტერესებული გაყიდვების გაზრდით; ბ) შესაძლოა დაწესდეს ხელფასების ზრდის სქემა, რომელიც დამოკიდებული იქნება გაყიდვების ზრდის ეტაპებზე (მაგ. გაყიდვების ყოველი 2000

ლარით გაზრდისას); გ) შესაძლოა თანამშრომლებს გადაეცეთ (ან შესთავაზონ იყიდონ) კომპანიის გარკვეული წილი. ამ დროს ისინი ასევე მეტად იქნებიან დაინტერესებული კომპანიის წარმატებით.